

ქ. გორი

2023 წელი

ერთის მხრივ - გორის მუნიციპალიტეტის მერია, ს/კ 218086087, (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტის მერის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის სახით და მეორე მხრივ - შპს „ბუქო-777“, ს/კ 417881046, (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ჭეჭელაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 16¹ მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT230020327) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ელექტრონული ტენდერის ფარგლებში დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.1.7. „სატენდერო დოკუმენტაცია“ - 2023 წლის განმავლობაში სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (NAT230020327) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.1.8. „მარშრუტი“ - ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მიერ სკოლის მოსწავლეების სკოლაში მიყვანისა და უკან წამოყვანისთვის საჭირო ყველა მიმართულების ერთობლიობა. მარშრუტი მოიცავს მიმართულებებს და მიმართულებების შესასრულებლად საჭირო გზებს, რომელიც განსაზღვრულია დანართი №2-ით.

1.1.9. „მიმართულება“ - მოსწავლეების სკოლაში წაყვანა ან მათი სკოლიდან წამოყვანა. დანართ №2-ში მოცემული მიმართულებების სავარაუდო მანძილი ითვალისწინებს მოსწავლეების საწყისი წერტილიდან სკოლაში წაყვანის ან სკოლიდან საწყის წერტილამდე წამოყვანის დისტანციას.

1.1.10. „მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი“ - მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი განისაზღვრება გადასყვანი ბავშვების რაოდენობით. ყოველ ოც ბავშვზე კოეფიციენტი იმატებს ერთი ერთეულით. მაგ: 1-დან 20 მოსწავლის ჩათვლით მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი იქნება ერთი. 21-დან 40 მოსწავლის ჩათვლით კოეფიციენტი იქნება 2 და ა.შ. კოეფიციენტი გამოიყენება როგორც ფასწარმოქმნის მექანიზმი და არ ზღუდავს მიმწოდებელს გზების რაოდენობის განსაზღვრისას.

(მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი განისაზღვრება მთელი რიცხვებით).

1.1.11. „გზა“ - კონკრეტულ მიმართულებაზე ერთი სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული მოსწავლეების მიყვანა ან წამოყვანა. გზების რაოდენობას განსაზღვრავს მიმწოდებელი მოსწავლეთა რაოდენობის, შესაბამისი ტრანსპორტის ტევადობისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

1.1.12. „კრიტერიუმი“ - დანართი №1-ში გაწერილი პირობები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრებიან წინამდებარე ელექტრონული ტენდერის ბენეფიციარები.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ით განსაზღვრული სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა, რომელიც აკმაყოფილებს ელექტრონული ტენდერის (NAT230020327) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2. შესყიდვის ობიექტია: **სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება, დანართი №2-ის შესაბამისად - (CPV: 60170000).**

2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა განისაზღვრება დანართი №2-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა - **338 047.20** (სამასოცდათვრამეტი ათას ორმოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

3.2. ერთი სამარშრუტო კილომეტრის ფასი **4.50** (ოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადები და ადგილი

4.1. სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის მოთხოვნათა დაცვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი მიმართულების მიხედვით ტექნიკურად გამართული, შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

4.3. ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა.

4.4. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებაში დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4.5. მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით - „ბავშვების გადაყვანა“.

4.6. სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ისე, რომ არცერთ მოსწავლეს არ უწევდეს ფეხზე დგომა სატრანსპორტო საშუალებაში საჭირო ადგილების არ არსებობის გამო.

4.7. მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 წუთისა და არაუადრეს 40 წუთისა, ხოლო სკოლიდან წამოყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან - არაუგვიანეს 40 წუთისა.

4.8. ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა მართავდნენ შესაბამისი მართვის უფლების მქონე მძღოლები.

4.9. სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს

სატენდერო დოკუმენტაციაში, ხელშეკრულებაში და დანართი №2-ში მითითებული პირობების დაცვით.

4.10. სასწავლო დღის განმავლობაში ერთი სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა ტრანსპორტირება არ უნდა განხორციელდეს 10 გზაზე მეტჯერ.

4.11. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ მიმართულებაზე დაემატება გადასაყვანი მოსწავლე(ებ)ი, იმ რაოდენობით, რომ იგი გამოიწვევს დანართი №2-ით დადგენილი მიმართულების ღირებულების კოეფიციენტის ცვლილებას, მიმართულების დღიური ღირებულება შეიცვლება განახლებული კოეფიციენტის შესაბამისად. მიმართულების ღირებულების დაანგარიშება განხორციელდება ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ერთი სამარშრუტო კილომეტრის ფასის, მიმართულების კილომეტრაჟისა და მიმართულების ღირებულების კოეფიციენტის გათვალისწინებით.

4.12. შემსყიდველი ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უფლებამოსილია მიმწოდებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოახდინოს სხვა მიმწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს მიმართულებით გათვალისწინებულ მომსახურებას. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მიმართულებით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს სხვა მიმწოდებელი, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მიმართულებით გათვალისწინებული მომსახურება, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხელმოწერით დამოწმებული წერილით, აცნობებს შემსყიდველს. შემსყიდველი მიღებული წერილის საფუძველზე, ორი სასწავლო დღის ვადაში, წყვეტს სხვა მიმწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვას.

4.13. გაწეული მომსახურება ხარვეზიანად ჩაითვლება თუ:

ა) მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთის დაგვიანებით ან მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 40 წუთით ადრე;

ბ) მოსწავლეთა სკოლიდან წამოყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დასრულებიდან 40 წუთის დაგვიანებით.

გ) სატრანსპორტო საშუალებაში დასაჯდომი ადგილის არ არსებობის გამო სკოლის მოსწავლე დგას ფეხზე.

დ) გავლილი არ იქნება მიმართულებაში მითითებული ყველა პუნქტი.

4.14. მომსახურების ვადა: **2023 წლის 20 ნოემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დანართი №2-ში მითითებული სასწავლო დღეების ამოწურვამდე.**

4.15. სატრანსპორტო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო კომპანიის მიერ განხორციელებული იქნება მგზავრთა გადაყვანის პროცესში მოსწავლეების (მგზავრების) დაზღვევა ტენდერის პირობების მიხედვით, ერთ მოსწავლეზე არანაკლებ 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობის სადაზღვევო თანხის ლიმიტით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის (ტაბელი) გაფორმების შემდეგ.

5.1.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველებია:

5.1.1.1 მიმწოდებელსა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციას შორის გაფორმებული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი (უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, რომელიც განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი ბრძანებით) ტაბელი (დანართი №4 ტაბელის ფორმა), რომელიც ივსება ყოველდღიურად და შემსყიდველს წარედგინება მომსახურების გაწევის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

5.1.1.2. შემსყიდველი ორგანიზაციისა და რესურსცენტრის შესაბამისი უფლებამოსილი პირის (სახელი,

გვარი და თანამდებობა, რომელიც განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი ბრძანებით) მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილი შედგენილი დასკვნა.

5.1.1.3. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილი პირის (განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი ბრძანებით) წერილობითი ფორმით შედგენილი დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელშიც აღნიშნული იქნება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები.

5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, კონკრეტული მიმართულების ერთი გზის ღირებულებისა და ფაქტობრივად განხორციელებული (შესრულებული) გზების რაოდენობის გათვალისწინებით.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, 5.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება არ ითვალისწინებს წინასწარ ანგარიშსწორებას.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ში განსაზღვრულია მიმართულებების სავარაუდო კილომეტრაჟი, იმ შემთხვევაში თუ დანართი №2-ით განსაზღვრულ მიმართულების კილომეტრაჟსა და რეალურ კილომეტრაჟს შორის განსხვავება არ აღემატება 20%-ს, ანგარიშსწორება ხორციელდება დანართი №2-ით გათვალისწინებული მიმართულების ღირებულებისა და განხორციელებული გზების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო 20%-ზე მეტით განსხვავების შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან ურთიერთშეთანხმებით შეიტანონ ცვლილება დანართი №2-ში და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად განახორციელონ მომსახურების მიწოდება და შესაბამისად ანგარიშსწორება.

6.5. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდაზე.

6.6 დაფინანსების წყარო: **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;**

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.1.2. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.1.3. შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

7.1.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (ელექტრონული ფოსტის შემთხვევაში, ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით).

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

7.2.2. შემსყიდველი ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უფლებამოსილია მიმწოდებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოახდინოს სხვა მიმწოდებელისაგან მომსახურების შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს მიმართულებით გათვალისწინებულ მომსახურებას. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მიმართულებით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს სხვა მიმწოდებელი, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მიმართულებით გათვალისწინებული მომსახურება, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხელმოწერით დამოწმებული წერილით, აცნობებს შემსყიდველს. შემსყიდველი მიღებული წერილის საფუძველზე, ორი სასწავლო დღის ვადაში, წყვეტს სხვა მიმწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3.2. გაწეული მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარუდგინოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

7.3.3. გააცნოს ყველა მძღოლს ავტომობილის ტექნიკური გამართულობისა და მოძრაობის უსაფრთხოების ნორმები და უზრუნველყოს მათი განუხრელი დაცვა.

7.3.4. თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს კონკრეტული მიმართულებით გათვალისწინებულ მომსახურებას იგი ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

7.3.5. ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში, მიმწოდებელი უფლებამოსილია კონკრეტულ მიმართულებაზე შეცვალოს გზების რაოდენობა. ერთი გზის ღირებულება განისაზღვრება დანართი №2-ის მიხედვით, დღიური მიმართულების ღირებულების გზების რაოდენობაზე შეფარდებით. გზების რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობოს ცვლილების შესახებ 1 სამუშაო დღით ადრე. გზების რაოდენობის ცვლილება არ ახდენს გავლენას მიმართულების ღირებულებაზე.

7.3.6. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი, მათ შორის გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.3.7. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე.

7.3.8. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებისას.

7.3.9. არსებული ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ის ცვლილების ან/და ახალი ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ის შემოღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო მომსახურება და მასთან დაკავშირებული გარემოებები შეუსაბამოს შეცვლილ გარემოებებს;

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულების პირობების ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით. მოცემული პირობა ეხება ხელშეკრულების მხოლოდ იმ პუნქტებს, რომლებზეც არ ვრცელდება სხვა პირგასამტეხლო(ები).

8.1.1. ყოველი გზის ხარვეზით განხორციელებისას ან განუხორციელებლობისას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხარვეზით განხორციელებული ან

განუხორციელებელი გზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების 50%-ის ოდენობით.
8.1.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

10. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ერთი სამარშრუტო კილომეტრის ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იქნას საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემდგომი მომსახურების პერიოდში უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

13.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში. რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადას. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებები სრულად შესრულდება 2023 წელს შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაუბრუნოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

13.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% ის ოდენობით.

13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

13.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

13.6. წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მცირდება მიმწოდებლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობის გზებს ან/და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 10-ზე მეტჯერ არ შესრულდება რომელიმე კონკრეტული მიმართულება, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება. გადაწყვეტილების მიღების დროს შემსყიდველი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

14.3. შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის, მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

14.4. ელექტრონული ტენდერის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შეიცვალოს ახალი მარშრუტის ან/და მიმართულებების დამატების, სასწავლო დღეების ცვლილების, ოპტიმიზაციის ან/და გაუქმების ან/და გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილების გათვალისწინებით. (ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები შესაბამისობაში უნდა იყოს დანართი №1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან).

14.5. თავდაპირველი ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა 10%-ის ფარგლებში შესაძლებელია ადგილობრივ რესურსცენტრთან და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე.

14.6. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი და მიმწოდებელი ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი/შეცვლილი მიმართულების გრაფიკს ან გააუქმებენ კონკრეტულ მიმართულებას, მიმწოდებელმა წარმოდგენილი ცვლილება უნდა გაითვალისწინოს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

14.7. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

გორის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 218086087
მის: ქ. გორი, გრიგოლ ფერაძის N5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა: 300843460

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ბუქო 777“
ს/კ 417881046
მის: ქ. გორი, შინდისის გზატ.მე-2 კმ.
ბანკი: სს „ტერა ბანკი“
ბანკის კოდი: TEBAGE22
ა/ა: GE03 KS0000 0003 6020 5995

შპს „ბუქო 777“-ის დირექტორი

ზურაბ ჭეჭელაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი

2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერი ვადასტურებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ **2023 წლის 09 ოქტომბერს** გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) **NAT230020327** საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების (CPV **60100000**) შესყიდვაზე, გამარჯვებულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

1. ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ფარგლებში „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩართვის მსურველი სკოლები, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ სავალდებულო კრიტერიუმებს:

ა) პროგრამაში ჩაერთვება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში - სკოლა), რომლის მოსწავლის საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან დაშორებულია არანაკლებ 2 კმ-ით.

ბ) პროგრამაში ჩაერთვება სკოლა, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი არ მოძრაობს ან მოძრაობის გრაფიკი თავსებადი არ არის სკოლის სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებულ გაკვეთილების განრიგთან ან/და არ შეუძლია მოემსახუროს ბენეფიციართა სრულ რაოდენობას.

გ) პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება მხოლოდ უახლოეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამდე, ზემოაღნიშნული პუნქტებით განსაზღვრული პირობების დაცვით. აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამონაკლისი შეიძლება დაიშვას იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დასახლებებში, სადაც მოსწავლეები გადანაწილებულნი არიან ახლოს მდებარე დასახლებების სხვადასხვასკოლებში; გამონაკლისი ასევე შეიძლება დაიშვას იმ დასახლებულ პუნქტებში, საიდანაც მოსწავლეები დადიან ქალაქის სკოლებში და ამ უკანასკნელ სკოლებსა და დასახლებულ პუნქტთან არსებულ უახლოეს სკოლას შორის მანძილი არ აღმატება ერთ კილომეტრს.

დ) სკოლა პროგრამაში ჩაერთვება, თუ სკოლების რეორგანიზაციის შედეგად:

დ. ა) ოპტიმიზებულ სკოლას არ აქვს ზოგადი განათლების რომელიმე საფეხური (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) და შესაბამისად, აღნიშნული საფეხურის მოსწავლეები სწავლას აგრძელებენ სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში და სკოლა აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმების „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

დ. ბ) ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სკოლა და მოსწავლეები სწავლას განაგრძობენ რეორგანიზაციის (ოპტიმიზაციის) შედეგად დარჩენილ სკოლაში, რომელიც აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმების „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

ე) პროგრამაში ჩაერთვება მაღალმთიანი რეგიონების სოფლის, თემის და დაბის სკოლა, ასევე, სკოლა, რომელიც მდებარეობს ისეთი ტიპის დასახლებულ პუნქტში, სადაც გადაადგილება მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველია (გზა გადის დაუსახლებელ და ტყიან ტერიტორიაზე, ცენტრალური მაგისტრალის ან რკინიგზის გასწვრივ, არის მტაცებელი ცხოველების საშიშროება) რომლის მოსწავლის საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან დაშორებულია 1,5კმ-ით. აღნიშნული პუნქტიდან გამონაკლისი შეიძლება განისაზღვროს იმ სკოლებისათვის, სადაც სწავლობს/სწავლობენ სსსმ პირი/პირები. გამონაკლისის სახით, მაღალმთიანი რეგიონების სოფლის, თემის და დაბის სკოლის მოსწავლეების და იმ სკოლის მოსწავლეების, რომელი სკოლებიც, სკოლის ინფრასტრუქტურულიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეების სკოლის შენობაში დატოვებას სასწავლო დღის დასრულებამდე, სკოლიდან ტრანსპორტირება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ეტაპად. (მაგ: პირველ ეტაპზე დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა, ხოლო მეორე ეტაპზე საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ტრანსპორტირება);

ვ) სკოლა, რომელშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განათლებას იღებენ ქართულ ენაზე/სასურველ ენაზე და აკმაყოფილებს „ა“ და „ბ“ პუნქტებს.

ზ) პროგრამაში ჩაერთვება სკოლა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს და საჭიროა სკოლის მთლიანი კონტინენტის გადაყვანა ახლომდებარე საჯარო სკოლაში ან ახლომდებარე შენობაში, რომელიც აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

თ) პროგრამაში ჩაერთვება სკოლა, რომელშიც წინასწარი შეთანხმებით სარემონტო სამუშაოები გრძელდება სასწავლო წლის განმავლობაში და საჭიროა სკოლის მთლიანი კონტინენტის გადაყვანა ახლომდებარე საჯარო სკოლაში ან ახლომდებარე შენობაში, რომელიც აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

2. პროგრამაში ჩართვის მსურველი სკოლებისათვის დამატებითი კრიტერიუმები:

ა) პროგრამით განსაზღვრული ვადების შემდგომ, პროგრამაში დამატებით შეიძლება ჩაერთოს:

ა. ა) სკოლა, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, საჭიროა სკოლის მთლიანი კონტინენტის გადაყვანა ახლომდებარე საჯარო სკოლაში ან ახლომდებარე შენობაში და სკოლა აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

ა. ბ) სკოლა, რომელსაც პროგრამით განსაზღვრული ვადების დასრულებამდე ემსახურებოდა სკოლის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება და ამორტიზაციის (რაც დადასტურებულია ტექნიკური დათვალიერების შედეგად გაფორმებული დოკუმენტაციით) გამო შეუძლებელია მისი ექსპლოატაცია და სკოლა აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

მისამართების №	სკოლა	მიმართულება	დრო	მართობი	მიმართულების რაოდენობა	საბარათო მანძილი კმ.	საგარეო დიდების რაოდენობა კანტინების გეოგრაფია	შენიშვნა	**მისამართების ღირებულების კოეფიციენტი	მისამართების ღირებულება (დედ)	მისამართების სრული საბარათო ღირებულება	***ტეგა	1 ტაბის ფასი	
1	სსიპ ნიკოლოზ (წიკო) ეკუთვნილი სახელობის ქალაქ გორის N1 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	9:00	ქალის დასახლება - გორის N1 საჯარო სკოლა	28	3,00	29		2	27,00	783,00	1	27,00	
2		სკოლიდან წამოვანა	13:30		28	3,00	29		2	27,00	783,00	1	27,00	
3		სკოლაში მივანა	9:00	ვერზევის ღვეწილი დასახლება - გორის N1 საჯარო სკოლა	30	4,00	29		2	36,00	1044,00	1	36,00	
4		სკოლიდან წამოვანა	13:30		30	4,00	29		2	36,00	1044,00	1	36,00	
5		სკოლაში მივანა	9:00		კარაღეთის ღვეწილი დასახლება - ქალაქ გორის N1 საჯარო სკოლა	35	5,00		29	2	45,00	1305,00	1	45,00
6		სკოლიდან წამოვანა	13:30			35	5,00		29	2	45,00	1305,00	1	45,00
7	გორის N4 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	9:00	კარაღეთის ღვეწილი დასახლება - გორის N4 საჯარო სკოლა	45	2,80	29	3	37,80	1096,20	2	18,90		
8		სკოლიდან წამოვანა	12:10		20	2,80	29	1	12,60	365,40	1	12,60		
9		სკოლაში მივანა	12:45		42	2,80	29	3	37,80	1096,20	2	18,90		
10		სკოლიდან წამოვანა	12:50		25	2,80	29	2	25,20	730,80	1	25,20		
11		სკოლიდან წამოვანა	16:50		42	2,80	29	3	37,80	1096,20	2	18,90		
12		სკოლაში მივანა	9:00	ვერზევის ღვეწილი დასახლება - გორის N4 საჯარო სკოლა	40	2,00	29	2	18,00	522,00	2	9,00		
13		სკოლიდან წამოვანა	12:10		15	2,00	29	1	9,00	261,00	1	9,00		
14		სკოლაში მივანა	12:45		35	2,00	29	2	18,00	522,00	1	18,00		
15		სკოლიდან წამოვანა	12:50		25	2,00	29	2	18,00	522,00	1	18,00		
16		სკოლიდან წამოვანა	16:50		35	2,00	29	2	18,00	522,00	1	18,00		
17		გორის N5 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	9:00	კარაღეთის ღვეწილი დასახლება - გორის N5 საჯარო სკოლა	122	3,00	29	7	94,50	2740,50	4	23,63	
18	სკოლიდან წამოვანა		12:00	20		3,00	29	1	13,50	391,50	1	13,50		
19	სკოლიდან წამოვანა		12:45	22		3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00		
20	სკოლიდან წამოვანა		13:30	60		3,00	29	3	40,50	1174,50	2	20,25		
21	სკოლიდან წამოვანა		14:15	20		3,00	29	1	13,50	391,50	1	13,50		
22	სკოლაში მივანა		12:50	30		3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00		
23	სკოლიდან წამოვანა		16:35	20		3,00	29	1	13,50	391,50	1	13,50		
24	გორის N6 საჯარო სკოლა	სკოლიდან წამოვანა	17:20	კარაღეთის კოტეჯები - გორის N6 საჯარო სკოლა	10	3,00	29	1	13,50	391,50	1	13,50		
25		სკოლაში მივანა	9:00		20	4,00	29	1	18,00	522,00	1	18,00		
26		სკოლიდან წამოვანა	13:00		20	4,00	29	1	18,00	522,00	1	18,00		
27	სკოლაში მივანა	9:00	ქალის დასახლება - გორის N6 საჯარო სკოლა	30	3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00			
28		სკოლიდან წამოვანა		13:00	30	3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00		
29		სკოლაში მივანა		8:30	თედორეშვილი - თიანეთი - გორის N7 საჯარო სკოლა	4	6,20	29	1	27,90	809,10	1	27,90	
30	სკოლიდან წამოვანა	13:00	4	6,20		29	1	27,90	809,10	1	27,90			
31	სსიპ ზაზა ბირაგვილიძის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	8:30	კარაღეთის ღვეწილი დასახლება - გორის N7 საჯარო სკოლა	15	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
32		სკოლიდან წამოვანა	13:00		15	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
33		სკოლაში მივანა	13:15		2	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
34		სკოლიდან წამოვანა	17:45		2	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
35	გორის N10 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	9:00	თიანეთი-თედორეშვილი-გორის N10 საჯარო სკოლა	21	4,80	29	2	43,20	1252,80	1	43,20		
36		სკოლიდან წამოვანა	14:30		21	4,80	29	2	43,20	1252,80	1	43,20		
37	გორის N11 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	13:45	დიდი გორიჯარი - ეკუთვნილი ქუჩის ბოლო გაგრება - გორის N11 საჯარო სკოლა - გორის N6 საჯარო სკოლა	202	3,00	29	11	148,50	4306,50	7	21,21		
38		სკოლიდან წამოვანა	16:20		26	3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00		
39		სკოლიდან წამოვანა	17:00		80	2,50	29	4	45,00	1305,00	3	15,00		
40		სკოლიდან წამოვანა	17:45		96	2,50	29	5	56,25	1631,25	3	18,75		
41	გორის N12 საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	14:00	კარაღეთის ღვეწილი დასახლება - გორის N7 საჯარო სკოლა	13	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
42		სკოლიდან წამოვანა	17:20		13	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
43		სკოლაში მივანა	14:00	ვერზევის ღვეწილი დასახლება - გორის N7 საჯარო სკოლა	16	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
44		სკოლიდან წამოვანა	17:20		16	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50		
45		სკოლაში მივანა	14:00		66	5,00	29	4	90,00	2610,00	3	30,00		
46		გორის N12 საჯარო სკოლა	სკოლიდან წამოვანა	18:00	კარაღეთის ღვეწილი დასახლება - გორის N10 საჯარო სკოლა	46	5,00	29	3	67,50	1957,50	2	33,75	
47			სკოლიდან წამოვანა	18:40		20	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50	
48			სკოლაში მივანა	14:00		84	5,00	29	5	112,50	3262,50	3	37,50	
49			სკოლიდან წამოვანა	18:00		76	5,00	29	4	90,00	2610,00	3	30,00	
50			სკოლიდან წამოვანა	18:40		8	5,00	29	1	22,50	652,50	1	22,50	
51		სსიპ გორის მერიის სახელობის სოფელ სოფელ არბის საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	14:00	გორის N12 საჯარო სკოლა - გორის N7 საჯარო სკოლა	159	4,50	29	8	162,00	4698,00	5	32,40	
52			სკოლიდან წამოვანა	17:20		159	4,50	29	8	162,00	4698,00	5	32,40	
53			სკოლაში მივანა	14:00	გორის N12 საჯარო სკოლა - გორის N10 საჯარო სკოლა	597	4,50	29	30	607,50	17617,50	18	33,75	
54			სკოლიდან წამოვანა	17:20		140	4,50	29	7	141,75	4110,75	4	35,44	
55			სკოლიდან წამოვანა	18:00		327	4,50	29	17	344,25	9983,25	10	34,43	
56			სკოლიდან წამოვანა	18:40		130	4,50	29	7	141,75	4110,75	4	35,44	
57		სსიპ გორის მერიის სახელობის სოფელ სოფელ არბის საჯარო სკოლა	სკოლაში მივანა	9:00	ქორდი-არბის საჯარო სკოლა	25	3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00	
58	სკოლიდან წამოვანა		14:00	25		3,00	29	2	27,00	783,00	1	27,00		

გაერთიანებული საბარათო კმ.-ის ფასზე კმ.-ის ფასი დამრეგულირებული ფასი იქნის უმაღლესი შესაძლებელი ფასი შედეგის ცხვენებისა. მხოლოდ კმ.-ის ფასი და ცხვენის რაოდენობა
***საბარათო კოლომეტრის ფასი
4.50
ჯამური ღირებულება
334849.95
მისწავლეთა ჯამური რაოდენობა
3644
ჯამური დიდი საბარათო კოლომეტრები
2565.90
ჯამური წლიური საბარათო კოლომეტრები
74411.10

მიღებული საბარათო კოლომეტრები ითვალისწინებს მიმართულების სავარაუდო დისტანციას A პუნქტიდან B პუნქტამდე (სრული).

მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი

***საბარათო კოლომეტრის ფასი
საბარათო კოლომეტრის ფასი არის მიმართულებისათვის გათვალისწინებული ერთი კოლომეტრის ღირებულება. მიმართულების მთელ მანძილზე სრული ცხვენის რაოდენობა

სკოლის შენობის სრული რეაბილიტაციის გამო გადახდილი არის სსიპ ქალაქ გორის N10 და გორის N7 საჯარო სკოლაში

59		სკოლაში მოგვანა	13:45		255	13.00	29		13	760.50	22054.50	8	95.06
60	სოფელ ატენის საჯარო სკოლა	სკოლიდან წამოგვანა	16:40	ფუხაში უბანი-დიდი ატენი-პელაიანი უბანი-დგეგულა-ქველანი უბანი-ატენის საჯარო სკოლა-ხიფისთავი	70	13.00	29	სკოლის შენობის სრული რეაბილიტაციის გამო, ატენის საჯარო სკოლა გადავიდა ხიფისთავის საჯარო სკოლაში	4	234.00	6786.00	2	117.00
61		სკოლიდან წამოგვანა	17:50		185	13.00	29		10	585.00	16965.00	6	97.50
62		სკოლაში მოგვანა	13:45		7	14.00	29		1	63.00	1827.00	1	63.00
63		სკოლიდან წამოგვანა	17:15		4	14.00	29		1	63.00	1827.00	1	63.00
64		სკოლიდან წამოგვანა	17:50		3	14.00	29		1	63.00	1827.00	1	63.00
65	სოფელ აძვის საჯარო სკოლა	სკოლაში მოგვანა	9:00	სოფელი ჯარიანთა-აძვის საჯარო სკოლა	19	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
66		სკოლიდან წამოგვანა	14:00		19	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
67		სკოლაში მოგვანა	9:00		4	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
68		სკოლიდან წამოგვანა	14:00		4	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
69		სკოლაში მოგვანა	9:00		8	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
70		სკოლიდან წამოგვანა	14:00		8	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
71		სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლა	სკოლაში მოგვანა		9:00	არაშენდა -ახალდაბის საჯარო სკოლა	13	2.20	29	1	9.90	287.10	1
72	სკოლიდან წამოგვანა		14:10	13	2.20		29	1	9.90	287.10	1	9.90	
73	სკოლაში მოგვანა		9:00	16	3.00		29	1	13.50	391.50	1	13.50	
74	სოფელ ახრისის საჯარო სკოლა	სკოლიდან წამოგვანა	12:30	ციცვლიანთა- ახრისის საჯარო სკოლა	7	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
75		სკოლიდან წამოგვანა	15:10		9	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
76		სკოლაში მოგვანა	9:00		1	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
77	ოლეკ კონიშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიფისთავის საჯარო სკოლა	სკოლიდან წამოგვანა	13:30	სოფელი კომუნი - ხიფისთავის საჯარო სკოლა	1	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
78		სკოლაში მოგვანა	13:40		2	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
79		სკოლიდან წამოგვანა	17:40		2	3.00	29	1	13.50	391.50	1	13.50	
80	სოფელ ბერძუკის საჯარო სკოლა	სკოლაში მოგვანა	9:00	ბერძუკის დევნილთა დასახლება-ბერძუკის საჯარო სკოლა	34	4.00	29	2	36.00	1044.00	1	36.00	
81		სკოლიდან წამოგვანა	14:00		34	4.00	29	2	36.00	1044.00	1	36.00	
82	სოფელ ბერძუკის საჯარო სკოლა	სკოლაში მოგვანა	13:00	ბერძუკეთი-ზემო სობის-ქვემო სობის - ზედღუღისის საჯარო სკოლა	160	6.50	29	8	234.00	6786.00	5	46.80	
83		სკოლიდან წამოგვანა	16:30		45	6.50	29	3	87.75	2544.75	2	43.88	
84		სკოლიდან წამოგვანა	17:10		115	6.50	29	6	175.50	5089.50	4	43.88	
